გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2017-2018 წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

1. **პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:**
(სათაურში მოკლედ უნდა მიეთითოს პროექტის შინაარსი)

მუნიციპალიტეტის ჩართულობა ძალადობის პრევენციაში.

თემატიკა:
(გამოცხადებული საკონკურსო თემის დასახელება)

გენდერული თანასწორობა

2. **პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:**
(განაცხადის შემვსების მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა))

ნათია ჩაკვეტაძე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი. ტელ: 595 95 96 20
ელ.ფოსტა: natiachakvetadze@rambler.ru

3. **პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:**
(მაქსიმუმ ერთი გვერდი)

ჩვენი იდეა ეხება ძალდობის თემატიკას, რაც გენდერული თანასწორობის პრინციპების დამკვიდრებისათვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორია. ჩვენმა მუნიციპალიტეტმა დაინახა ამ პრობლმაზე რეაგირებაში მისი ჩართულობის აუცილებლობა და ბიუჯეტში მოახერხა აესახა დახმარება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის, რაც თავის მხრივ მოიაზრებს ძალადობის მსხვერპლების ბინის ქირით უზრუნველყოფას, ასევე ოჯახური ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირიებისათვის, გინეკოლოგის, რეპროდუქტოლოგის, კონსულტაციის, ან მისთვის საჭირო კვლევებისათვის თანხის გამოყოფას. ეს ინიციატივა ბიუჯეტის ფორმირების დროს მხარდაჭერილ იქნა, გამომდინარე იქედან, რომ იმერეთის რეგიონში წყალტუბოს მუნიციპალიტეტი სტატისტიკურად სხვა მუნიციპალიტეტს უსწრებს შემაკავებელი ორდერების მაჩვენებლით. მიუხედავად ამისა, ეს თანხები ათვისებული ვერ იქნა, იმიტომ, რომ მოსახლეობაში საკმაოდ დაბალი დონეა ინფორმირებისა ოჯახში ძალადობის თემაზე. ჩვენ ვეცადეთ გარკვეულწილად ამ გამოწვევას გავმკლავებოდით და მოვახდინეთ ბაღების ა(ა)იპ-ის თანამშრომლების გადამზადება ოჯახში ძალაობის თემაზე, გავაცანით ის მექანიზმები, რომლითაც მათ შეუძლიათ პრობლემასთან ბრძოლა. ჩატარდა

ტრენინგების ციკლი, რამაც საკმაოდ დიდი შედეგი გამოიღო. წყალტუბოს ყველა ბაღში შეიქმნა ძალადობის ფაქტებზე რეაგირების ჯგუფები, რომელბშიც შედის ბაღის მენეჯერი, მეთოდისტი და ერთი პედაგოგი. ეს ჯგუფი პირველ რიგში ახდენს მშობლების ინფორმირებას პრობლემასთან და მასთან ბრძოლის მეთოდებთან დაკავშირებით, რაც ცნობიერების ამაღლების კარგი საშუალებაა. დაიბეჭდა სპეციალური ბუკლეტები ძალადობის თემებზე რისთვისაც მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნა 1000 ლარი, მომზადდა ასევე ვიდეორგოლი.

- **გამოწვევა** - პრობლემის მნიშვნელოვანი გარემოებების მითითება;
  ადგილობრივ თვითმართველობაში კერძოდ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურს ხშირად მომართავდა ძალადობის მსხვერპლი პირები, რომლებიც ითხოვდნენ დახმარებას, კერძოდ ბინის ქირით უზრუნველყოფისათვის. ვინაიდან ბიუჯეტში დახმარებები გათვალისწინებული იყო მხოლოდ ძალადობის მსხვერპლის სატატუსის მქონე პირებისათვის, მოვითხოვდით შესაბამის დოკუმენტს, რისი მოტანაც მათ არ შეეძლოთ - შიშისა და სირცხვილის გამო არ მიმართავდნენ შესაბამის ორგანოებს.
- **წარსული გამოცდილება** - როგორ ხდებოდა გამკლავება აღნიშნულ პრობლემასთან და რა უშლიდა ხელს მის აღმოფხვრას;
  პრობლემის აღმოფხვრას ხელს უშლიდა მოსახლეობაში ცნობიერების ძალიან დაბალი დონე, დაუცველობის განცდა, შიში და სირცხვილი, ასევე მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა.
- **პასუხი არსებულ გამოწვევაზე** - მოკლე აღწერა და მიღწეული შედეგი.
  პირველ რიგში მიზნად დავისახეთ ტრენინგებისა და შეხვედრების მეშვეობით მათი ცნობიერების ამაღლება, დავუკავშირდით არასამთავრობო ორგანიზაციებს, დავბეჭდეთ ბუკლეტები ძალადობის თემებზე, გენდერული თანასწორობის საბჭოს შემადგენლობაში ჩავრთეთ საკრებულოს ფრაქციების, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელები, საბჭოს რამდენიმე წევრი გადავამზადეთ ოჯახში, საზოგადოებაში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

4. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

(ძირითადი ინფორმაცია მუნიციპალიტეტის შესახებ: დასახელება, გეოგრაფიული მდებარეობა, მოსახლეობის რაოდენობა, და ა.შ.)

წყალტუბო დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, კოლხეთის დაბლობის აღმოსავლეთით, მდინარეების: რიონისა და გუბისწყლის ხეობაში მდებარეობს.აღმოსავლეთით ესაზღვრება ქალაქ ქუთაისი,დასავლეთით სამტრედიისა და ხონის, ჩრდილოეთით ცაგერის და ამბროლაურის, ხოლო სამხრეთით ბაღდათის და ვანის მუნიციპალიტეტები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორია 707.5 კვ. მ შეადგენს.

წყალტუბო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტია, იგი ძალზე ორიგინალური ჰიდროგეოლოგიური აგებულებით გამოირჩევა აქ ზღვის ჰავა ნოტიო სუბტროპიკულია, მოკლე ზამთრით და ცხელი ზაფხულით. წყალტუბო მდიდარია წყლის რესურსებით, წყალტუბოს მინერალური წყლის მაღალხარისხოვნების მაჩვენებელია ბუნებრივი ოპტიმალური ტემპერატურის 35 გრადუსის მუდმივობა, რაც ხელს უწყობს აბაზანების ადვილად ამტანიანობას, წყალი აბაზანებში პირდაპირ წყაროებიდან მიდის გათბობისა და გაცივების გარეშე.

წყალტუბოს ტერირორიაზე მდებარეობს საქვეყნოდ ცნობილი სათაფლიის ნაკრძალი, რომელიც 345 ჰექტარს მოიცავს. აქ არის დინოზავრის ნაკვალევი და კასტრული გამოქვაბული, რომელიც მდიდარია სტალაქტიდებით და სტალაგმიტებით. წყალტუბოში მდებარეობს ასევე ცნობილი პრომეთეს მღვიმე მისი სიგრძე 1.8 კმ-ია და მიწის ზედაპირიდან 40მ-ის სიღრმეშია წარმოქმნილი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 56 883 შეადგენს.

5. **მუნიციპალიტეტის მახასიათებლები**:
(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - იმ გარემოებების აღწერა, რომელიც გავლენას ახდენს საუკეთესო პრაქტიკის კონკურსში წარდგენილი პროექტის განხორციელებაზე, მაგ.: საჯარო მოხელეების კვალიფიკაცია, ფინანსური რესურსი, ტექნიკური შესალებლობები და ა.შ.;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტში უკვე სამი წელია ფუნქციონირებს გენდრერული თანასწორობის საბჭო, რომლის წევრები არიან როგორც მერიის ისე საკრებულოს თანამშრომლები, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები, გენდერული თანასწორობის საბჭო პერიოდულად იკრიბება გაწერილი სამუშაო გრაფიკის მიხედვით, საბჭოზე მიმდინარეობს სხვადასხვა პრობლემური საკითხების შესწავლა, მიმდინარეობს საუბრები გენდერულ საკითხზე, ასევე მსჯელობა ბიუჯეტში გასათვალისწინებელ იმ პროგრამებზე რომლებიც შეეხება გენდერულ თემებს, სწორედ საბჭოს გადაწყვეტილებით დაიგეგმა და მიუჯეტში იქნა გათვალისწინებული ძალადობის მსხვერპლთათვის დახმარების საკითხი.
- **გარეშე ფაქტორები** - ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მდგომარეობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე გავლენის მქონე სხვა ფაქოტრები (მნიშვნელოვან სატრანზიტო გზასთან სიახლოვე, მსხვილ საერთაშორისო პროექტში ჩართულობა და ა.შ.), რომლებსაც შეეძლო გავლენა მოეხდინა პროექტის განხორციელებაზე;
- პროექტის განხორციელებაზე გავლენა მოახდინა მძიმე სოციალურ-ეკონომიკურმა მდგომარეოაბამ, რომელიც შესაძლ;ოა პირველი და მძიმე ფაქტორი გახლდეს ოჯაში ძალადობის, ასევე ცნობიერების დაბალი დონე გენდერული თანასწორობის შესახებ.

6. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:
(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო)

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბერს N 205 განკარგულებით შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო რომლის წევრები არიან ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები,საბჭოს მიერ შემუშვებულია სამოქმედო გეგმა, რომლის თანახმადაც ხდება შეხვედრების მოწყობა ფოკუს-ჯგუფებთან, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საჯარო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებთან თემაზე - გენდერული თანასწორობა და ოჯახში ძალადობა.
შეხვედრების მიზანია საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლება და თითოეული მოქალაქის გათვითცნობიერება მისთვის კანონით მინიჭებულ უფლებებსა და მოვალეობებში. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შექმნილმა გენდერული თანასწორობის საბჭომ პრობაციის თანამშრომლებთან ერთად გამართა შეხვედრა მოძალადეებთან, სადაც გაიმართა საუბრები ძალადობის გამომწვევ მიზეზებზე, ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაზე.იმსჯელეს იმ საკითხებზე რომ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი, მიუხედავად სქესისა და ასაკისა და მისი გამომწვევი მიზზი შეიძლება გახდეს უმუშევრობა სიღარიბე, ქალის ეკონომიკური დამოკიდებულება მამაკაცზე და მრავალი სხვა ფაქტორები. მოძალადეებთან ასევე გაიმართა საუბრები თემებზე თუ თუ რა სავავალალო შედეგი შეიძლება მოიტანოს ირგვლივ მყოფთათვის მათმა მოძალადეობრივმა ქმედებბებმა. ვფიქრობთ, მათთან ასეთი ტიპის ხშირი შეხვედრები ხელს შეუწყობს ცნობიერების ამაღლებას, მოძალადეებს ჩაუტარდათ ფსიქოლოგის კონსულტაციები. ასევე, ფონდი „სოხუმისა" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ჩატარდა ერთობლივი შეხვედრა საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლებთან „ფოკუს-ჯგუფი პედაგოგები" შეხვედრაზე გამოკვეთა თუ რა გამოწვევის წინაშე დგანან საგანმანათლებლო დაწესებულების თანამშრომლები, მუშაობს კარგად და საჭიროებს თუ არა დახვეწას, კანონი „ქალთა მიმართ ან /და ოჯახში ძალადობის აღკვეთის ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ". გამოკვეთა საინტერესო მოსაზრებები, ასევე გაიმართა მსჯელობა გენდერული თანასწორობის საბჭოს სამომავლო გეგმის შესამუშავებლად.

აქტივობათა გეგმა/გრაფიკი;

- გენდერულ თანასწორობაზე პასუხისმგებელი პირის და გენდერული თანასწორობის საბჭოს რამდენიმე წევრის გადამზადება ოჯახში და ქალთა მიმართ ძალადობის, ასევე ეროვნული რეფერალური მექანიზმების შესახებ საკონსულტაციო მომსახურების გასაწევად.

- მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა ცნობიერების ასამაღლებლად ტრენინგების ჩატარება გენდერული თანასწორობის პრინციპებზე.
- საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება თემაზე - ქალთა უფლებები, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობა. ადრეული ქორწინება, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა, მოხუცებულთა, ბავშვთა უფლებები და სხვა. სამიზნე ჯგუფებთან: მერის წარმომადგენლები, ბაღის პედაგოგები, სკოლის მასწავლებლები, მერიას დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ის ხელმძღვანელები.

განხორციელებისათვის მიღებული და გაფორმებული გადაწყვეტილებების ჩამონათვალი (ბრძანებები, განკარგულებები, დადგენილებები, რეზოლუციები, ინსტრუქციები). *<u>აღნიშნული დოკუმენტაცია თან უნდა დაერთოს განაცხადის შევსებულ ფორმას;</u>*

ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების ჩართულობის შესახებ;

- აღნიშნულ ინიციატივის განხორციელებაში ჩართულიიყვნენ ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებად არიან მიღებული და დღემდე ამ კუთხით მუშაობაში მუნიციპალიტეტთან აქტიურად თანამშორმლობენ ერთობლივად დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

- **ინფორმაცია გამოყენებული რესურსის** (ადამიანური, ფინანსური, მატერიალური) **შესახებ;**
  მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა.

- **განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**
  განხორციელების პროცესში პრობლემას წარმოადგენდა მოქალაქეთა არაინფორმირებულობა გენდერული თანასწორობის, ძალადობის შესახებ რამაც გამოიწვია და შეაფერხა ძალადობის მსხვერპლად აღიარების პროცესი.ასევე პრობლემას წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობების გამოკვეთა. აღნიშნულის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მოხელეებისათვის ჩატარდა ტრენინგები მრჩეველთა საბჭოში გათანაბრდა ქალისა და მამაკაცის რაოდენობა, ძალადობის მსხვერლთათვის ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები, მიეცათ რეკომენდაციები, უფასო იურიდიული რჩევები, ასევე ჩაუტარდათ უფასო ფსიქოლოგიური შეხვედრები,აღნიშნული ქმედებით მივიღეთ შედეგები, რამდენიმე მსხვერპლმა მიმართა პოლიციას,

სოციალური მომსახურების სააგენტოს, მოითხოვა მისი უფლებების დაცვა და დასაქმება.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**
  წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭო.
  კულტურულ-ფუმანიტარული ფონდი სოხუმი

- **სხვა დამატებითი ინფორმაცია, რაც მნიშვნელოვანი იყო პროექტის წარმატებით განხორციელებისათვის;**
  <u>პროექტის წარმატებით განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი იყო:</u> ინფორმაციის გავრცელება გენდერული თანასწორობის, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის შესახებ ადგილობრივი და რეგიონული საინფორმაციო საშუალებების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის საინფორმაციო რესურსების (ვებ-გვერდი, ფეისბუკ-გვერდი) მეშვეობით.

7. მიღწეული შედეგი:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

გენდერული თანასწორობის კუთხით მომუშავე არასასმთავრობო ორგანიზაციებთან მჭიდრო კავშირის შედეგად უკეთ მოვახდინეთ ძალადობის ფაქტების გამოვლენა, მათი ცნობიერების ამაღლება გენდერული თანასწორობის საკითხებზე. მოსახლეობასთან თემში შეხვედრების დროს. გაზრდილია სოფლად მცხოვრები, ასევე ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებული ქალების, სოციალურად დაუცველი ოჯახების წარმომადგენელთა მათ შორის ძალადობის მსხვერპლთა სახელოვნებო - შემოქმედებით, პროფესიულ, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის მაჩვენებელი. მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ უზრუნველყოფილია გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობა. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროებში შემუშავებული და განხორციელებულია გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული მუნიციპალური პროგრამები.

8. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიეტეტში) (მ.შ.: კონკრეტული მუნიციპალიტეტისათვის სპეციფიკური ფაქტორების ჩათვლით);

- მსგავსი პრაქტიკის დასანერგად კარგი იქნება პირველადი კვლევის ჩატარება პრობლემის აქტუალურობის კუთხით, ინფორმაციის გამოთხოვა შესაბამისი სტრუქტურებიდან რათა მოხდეს სტატისტიკურად დასაბუთება, რომ

პრობლემა აქტუალურია. ასევე აუცილებელია პრობლემის არსებობაზე ბენეფიციართა ინფორმირება.

წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები

ინფორმაცია პრატიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ;ინიციატივის მდგრადობის განმსაზღვრელია ინფორმირებული საზოგდოება, ხშირი შეხვედრები და საუბრები საზოგადოების სხვადასხვა ფენასთან , განსაკუთრებით ძალადობის მსხვერპლთან, მათთვის უფასო იურიდიული და დახმარება, ფსიქოლოგის კონსულტაციები, თანადგომა მუნიციპალიტეტის მხრიდან თავშესაფრის მოძიებაში, ფულადი დახმარების გაწევა. მოხალისე სპეციალური ჯგუფის შექმნა რომელიც ძალადობის მსხვერპლს დაეხმარება სოციალურ ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, სოციალური მომსახურების სააგენტოსთან მჭიდრო კავშირი და დასაქმების პორტალზე მათი სამსახურის მაძიებლად დარეგისტრირება.

9. **საკრებულოს როლი:**
   - **პროექტის/ინიციატივის დაგეგმვის, განხორციელების, შედეგების შეფასების საკითხში;**
     პრქტიკის დაგეგმვის და განხორციეელბის პროცესში ასევე შედეგების შეფასების საკითხებში საკრებულომ მიღო მონაწილეობა, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მოწვეულ სხდომებზე, გაწერილი დღის წესრიგის მიხედვით.
   - **საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის კონკურსში მონაწილეობისათვის პრეოქტის/ინიციატივის შერჩევის საკითხში;**
     საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობა მიიღო გენდერულმა თანასწორობის საბჭომ, რომლის შემადგენლობაში შედიან საკრებულოს თანამშრომლებიც.
   - **როგორი იყო საკრებულოში არსებული ფრაქციების დამოკიდეულება ამ საუკეთესო პრაქტიკის მიმართ;**
     ფრაქციებს აღნიშნული პრაქტიკის განხორციელების პროცესში მონაწილეობა არ მიუღია.
   - **პრატიკასთან/ინიციატივანსთან დაკავშირებული სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;**
     სამომავლო გეგმებში მუნიციპალიტეტს აქვს ინიციატივა მუნიციპალიტეტისადმი დაქვემდებარებულ სკოლამდელ და სკოლისგარეშე აღზრდის დაწესებულებებში საჭიროებების შესწავლის მიზნით , არსებული მდგომარეობის ანალიზის და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება გენდერულ ჭრილში.

- მუნიციპალიტეტში საჯარო მოხელეებისათვის ჩავატროთ შეხვედრები ინფორმაციის მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის ფორმების და მეთოდების, აგრეთვე საინფორმაციო ბაზის ანალიზის საკითხებზე გენდერულ ჭრილში.
- სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების განსაკუთრებით ქალთა არასამთავრობო და სათემო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზის შექმნა.
-
- მუნიციპალიტეტის დასახლებებში გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის ინსტიტუციური მექანიზმების შესაქმნელად ლიდერ ქალთა გამოვლენა.
- ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობაზე სტატისტიკური მონაცემების შეგროვება.

10. საკონტაქტო ინფორმაცია:

(აქ მოცემული უნდა იყოს იმ პირების საკონტაქტო მონაცემები (სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა), რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთქვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს)

ნათია ჩაკვეტაძე - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი ტელ
:595 95 96 20 natiachakvetadze@rambler.ru
კულტურულ-ჰუმანიტარული ფონდი სოხუმი - გურანდა გვანცელაძე ტელ:579 931616

11. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

https://www.facebook.com/1157079737760076/videos/1266024076865641/?t=49

https://m.facebook.com/media/set/?set=a.1215530138581702&type=3

https://m.facebook.com/media/set/?set=a.1206335386167844&type=3

https://m.facebook.com/media/set/?set=a.1204102356391147&type=3

https://m.facebook.com/media/set/?set=a.1202867899847926&type=3

https://m.facebook.com/story.php?story_fbid=1181620925305957&id=1157079737760076

https://www.facebook.com/notes/%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D/%E1%83%AB%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/1175097879291595/

https://m.facebook.com/story.php?story_fbid=1166523683482348&id=1157079737760076

https://m.facebook.com/notes/%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%91%E1%83%9D%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%91%E1%83%AD%E1%83%9D/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A3%E1%83%9B%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A2%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%95%E1%83%98%E1%83%96%E1%83%98%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98/1165870396881010/

განაცხადის მიღების ბოლო ვადაა 2018 წლის 18 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ გადმოაგზავნოთ ელექტრონულ მისამართზე bp@nala.ge

*** შენიშვნა:** განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 5 95 57 77 34 nzurabishvili@nala.ge